

ტენიანი სუბტროპიკული ტყეებისა და ტყის ნიადაგების როლი ეროვნული პარკების მდგრადობისათვის (მტირალას ეროვნული პარკის მაგალითზე - აჭარა, საქართველო)

ბესიკ კალანდაძე¹, გერო ვებერი², ილია კალანდაძე¹, გულნარა აფციაური¹

ელ.ფოსტა: besik.kalandadze@tsu.ge

¹გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო

² გეოგრაფიის ინსტიტუტი, ზაარლანდის უნივერსიტეტი,
ზაარლანდის უნივერსიტეტი, 151150 D-66041, საარბრუკენი, გერმანია

მრავალწლიანი დაკვირვებები ზედაპირული წყლების ხარისხის დინამიკაზე მიუთითებს წყლის ობიექტებში დამაბინძურებელი ნივთიერებების ექსტრემალური მაღალი შემცველობის შემთხვევების რიცხვის ზრდას. უკანასკნელ პერიოდში სერიოზული ყურადღება ექცევა ზედაპირული წყლის ობიექტების ეკოლოგიური მდგომარეობის საკითხებს, ნიადაგიდან ინფილტრაციული წყლების მდგომარეობას და გავლენას ზედაპირულ წყალსატევებსა და წყალდენაზე, ტექნოგენური ზემოქმედების დონის შეფასებას, ტექნოგენური წარმოშობის პოლუტანტების გამოვლენას. ზედაპირული წყლების ხარისხის, მათი ეკოლოგიური მდგომარეობის და დაცვის მონიტორინგი ქვეყანაში სისტემატურ ხასიათს არ ატარებს. ამასთან არ არის შემუშავებული მათი დაბინძურების ხარისხის განსაზღვრის კრიტერიუმები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზედაპირული წყლების ეკოქიმიური გამოკვლევა, ბუნებრივი და ტექნოგენური დაბინძურების წყაროების განსაზღვრა, მათი წილი ჯამურ დაბინძურებაში წარმოადგენს აუცილებელ და აქტუალურ ამოცანას, რამდენადაც ისინი გამოიყენება როგორც სასმელ-სამეურნეო, ისე რეკრეაციული მიზნებისათვის.

მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ძირითადად სამი ტიპის ნიადაგი გამოიყოფა. ზღვის დონიდან 300 მეტრამდე გავრცელებულია წითელმიწები (Nitisols Feralic), ყვითელ-ყომრალეები (Acrisols Haplic) გავრცელებულია ზ. დ. 400-1000 მეტრის ფარგლებში და ყომრალეები (Distric Cambisols) ვრცელდება ზ. დ. 800-1800 მეტრის სიმაღლეზე. ეკოლოგიურად სუფთა გარემო ქმნის იდეალურ პირობებს სასმელი წყლის მარაგის სტაბილურობისა და სისუფთავისათვის. სასმელად ვარგისი მტკნარი წყლის რეზერვები ერთის მხრივ არათანაბრადაა გადანაწილებული მთელ მსოფლიოში, მეორეს მხრივ, წყლის რესურსები სულ უფრო მცირდება და ამიტომ მსოფლიოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყლის მოფრთხილებას – რაციონალურად გამოყენებას და დაბინძურებისაგან დაცვას. ხშირ შემთხვევაში ნიადაგში არსებული სხვადასხვა ელემენტები და ტენიანი კლიმატი ხელს უწყობს არსებული ბალანსის დარღვევას და ადგილი აქვს როგორც ზედაპირული ისე გრუნტის წყლების დაბინძურებას.